



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER  
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-4/8897

05/09/2023

8897-15-4-2-202309051438



საქართველოს იუსტიციის მინისტრს  
ბატონ რატი ბრეგაძეს

### რეკომენდაცია

N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის [REDACTED]  
[REDACTED] მიმართ სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის, [REDACTED] დედამ, რომელიც მიუთითებდა, რომ მსჯავრდებულს აწუხებს თავის ძლიერი ტკივილები და გაწეული სამედიცინო მომსახურების მიუხედავად, აღნიშნული პრობლემა არ მოგვარებულა.<sup>1</sup>

აღნიშნულ საკითხზე რეაგირების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა მოინახულა მსჯავრდებული [REDACTED], რომელმაც აღნიშნა, რომ 2023 წლის იანვრიდან დაეწყო თავის ძლიერი ტკივილები, ხოლო გაწეული სამედიცინო მომსახურება იყო უშედეგო.<sup>2</sup>

შედეგად, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტს<sup>3</sup> და გამოითხოვა ინფორმაცია [REDACTED] მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ, აგრეთვე - პაციენტის ამბულატორიული ბარათი.

2023 წლის 29 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებული და სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმი, მედიცინის დოქტორი გაესაუბრნენ [REDACTED], რომელმაც დაადასტურა, რომ ჩივილები კვლავ ჰქონდა და მედიკამენტები ეფექტურად არ მოქმედებდა.

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 6905/23.

<sup>2</sup> 2023 წლის 22 ივნისის გასაუბრების ოქმი.

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 26 ივნისის N 15-4/6132 წერილი.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის წერილით სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ იქნა პაციენტის ამბულატორიული ბარათი.<sup>4</sup> აგრეთვე, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ██████████ ჩაუტარდა ნევროლოგის კონსულტაცია, თავის ტვინის ეეგ კვლევა. მიღებული დასკვნით, დაუდგინდა დიაგნოზი: დაძაბულობის ტიპის თავის ტკივილი (ქრონიკული), დაენიშნა მედიკამენტური მკურნალობა (დუქსეტი, ბილობილი) და გაიცა რეკომენდაცია, გეგმიური წესით თავის ტვინის კომპიუტერულ ტომოგრაფიულ კვლევაზე, რისთვისაც იგი დარეგისტრირდა რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში.

2023 წლის 27 ივლისს შეხვედრისას მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თავის ძლიერი ტკივილები კვლავ აწუხებს, მიიღო რეფერალის ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის ნომერი N1558 და ელოდება გაყვანას.<sup>5</sup>

### გაწეული სამედიცინო მომსახურება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმი, მედიცინის დოქტორი, ██████████ გაეცნო პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციას.

სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა ██████████ აღნიშნავს, რომ გაწეული სამედიცინო მომსახურება არ არის ეფექტური და მას კვლავ აწუხებს თავის ძლიერი ტკივილი. თავის ტკივილის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-3 გამოცემის მიხედვით, თავის ტკივილი შესაძლებელია გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით,<sup>6</sup> მათ შორის, მე-6 თავი ასახავს თავის ტკივილის ფორმებს, რომელიც დაკავშირებულია კრანიალური ან კისრის სისხლძარღვების დარღვევებთან, ხოლო კლასიფიკაციის კოდი 9.2.2.2 მინიჭებული აქვს სისტემური ვირუსული ინფექციით გამოწვეულ ქრონიკულ თავის ტკივილს.

სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, პაციენტის ანამნეზიდან და ლაბორატორიული კვლევებიდან გამომდინარე, სასურველია ყურადღება გამახვილდეს სისხლძარღვოვანი პროცესით და/ან ქრონიკული ვირუსული ინფექციით გამოწვეულ თავის ტკივილზე (თუმცა, არ არის გამორიცხული სხვა მიზეზების არსებობაც).

თავის ტკივილის შესაძლო სისხლძარღვოვანი კომპონენტის არსებობაზე მიუთითებს სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული, ოჯახის ექიმის 2019 წლის 5 დეკემბრის ჩანაწერი, სადაც დაფიქსირებულია, რომ პაციენტს დასმული პქონდა თავის ტკივილის (R51) დიაგნოზი. მედიკამენტ გლატანით<sup>7</sup> ჩატარებული მკურნალობის ერთთვიანი კურსის

<sup>4</sup> სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 11 ივლისის №191176/01 წერილი.

<sup>5</sup> 2023 წლის 27 ივლისის მონაცემებით.

<sup>6</sup> The International Classification of Headache Disorders 3rd edition. <https://ichd-3.org/classification-outline/>

<sup>7</sup> გლატანი. საერთაშორისო დასახელება (აქტიური ნივთიერება): vincamine. ფარმაკოლოგიური თვისებები ვინკამინი ხასიათდება თავის ტვინში სელექციური ვაზოდილატაციური მოქმედებით. იგი განაპირობებს

შემდეგ პაციენტი თავს უკეთესად გრძნობს, თავის ტკივილი აღარ აწუხებს. აგრეთვე, ოჯახის ექიმის 2023 წლის 14 ივნისის ჩანაწერის მიხედვით, იკვეთება, რომ საწყის ეტაპზე ვაზოაქტიური პრეპარატებით (კავინტონით და გლატანით) მკურნალობა ეფექტური იყო, თუმცა შემდეგ პაციენტს თავის ტკივილი კვლავ განუახლდა.

სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის მოსაზრებით, სისხლის საერთო ანალიზებში საყურადღებოა ლიმფოციტების რაოდენობის მომატება, რაც, შესაძლებელია, მიუთითებდეს ვირუსული ინფექციის არსებობაზე (ეპშტეინ-ბარის ვირუსული ინფექცია, ციტომეგალოვირუსული ინფექცია და ა. შ.). აღნიშნული, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს თავის ტკივილის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი. ამგვარად, ქრონიკული თავის ტკივილის მიზეზის დასადგენად, რომლის კუპირებაც ვერ მოხერხდა რამდენიმე თვის განმავლობაში, სასურველია, პაციენტს დამატებით ჩაუტარდეს ინტრა და ექსტრაკრანიული დუპლექს სკანირება და ლაბორატორიული კვლევები, თავის ტკივილის სისხლძარღვოვანი კომპონენტისა და ქრონიკული ვირუსული ინფექციის გამოსარიცხად.

## სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით.<sup>8</sup> სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას.<sup>9</sup>

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და მის მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს, რითაც ხაზს უსვამს პატიმრის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაში არსებული ეკვივალენტური ჯანდაცვის სისტემით. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იმ მომსახურებაზე, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაშია დანერგილი.<sup>10</sup>

ციხეებში ჯანდაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული და ეთავსებოდეს ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკას.<sup>11</sup> პატიმრებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ქვეყანაში არსებული

ცერებრული სისხლის მიმოქცევის ადაპტაციას თავის ტვინის მეტაბოლური მოთხოვნილების შესაბამისად. გლუკოზის უნივერსალური მეტაბოლიზმის თავის ტვინში, ზრდის ენერგიის გამომუშავებას და ხელს უწყობს ორგანიზმის ზოგადი აქტივობის მატებას. ვინაური უნგბადით უზრუნველყოფს ჰიპოქსიის მდგომარეობაში არსებულ ნეირონებს. პრეპარატი ამცირებს და არეგულირებს თავის ტვინის სისხლძარღვების წინააღმდეგობას. ვინაური გააჩნია თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის ნორმალიზაციისა და ნეირონების უნგბადით უზრუნველყოფის გაუმჯობესების უნიკალური უნარი. სხვა ჩვენებების გარდა გამოიყენება სისხლძარღვოვანი პათოლოგიით გამოწვეული თავის ტკივილი, შაკიკი. ხელმისაწვდომია: <<http://www.vidal.ge/drugs/glatan>> ბოლოს ნანახია: [15.08.2023]

<sup>8</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28, პუნქტი 2.

<sup>9</sup> იქვე, პუნქტი 2

<sup>10</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, პარა. 40.2.

<sup>11</sup> იქვე, პარა. 40.2.

ჯანდაცვის სამსახურზე, მათი სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.<sup>12</sup> ყველა საჭირო სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება, მათ შორის ისეთიც, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში ტარდება, უნდა გაეწიოს პატიმრებს.<sup>13</sup> ავადმყოფი პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალისტის მკურნალობას, უნდა გადაყვანილ იქნან სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში, თუკი ასეთი მკურნალობის შესაძლებლობა არ არსებობს ციხეში.<sup>14</sup> თუ სასჯელაღსრულების სამსახურს გააჩნია საკუთარი სტაციონარი, ის სათანადოდ უნდა იყოს დაკომპლექტებული და აღჭურვილი პატიმართათვის შესაბამისი მზრუნველობისა და მკურნალობის გასაწევად.<sup>15</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირი სათანადო სამედიცინო მომსახურებით. თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სამედიცინო მომსახურების არარსებობა შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მიზეზი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად განიხილავს საქმეებს წამებისა და არასათანადო მოპყრობის ჭრილში, თუკი იგი ეხება თავისუფლებააღკვეთილი პირების სათანადო მკურნალობის არარსებობას.<sup>16</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ იმისთვის, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ გაუტოლდეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მინიმალურ ზღვარს და არ იმყოფებოდეს წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.<sup>17</sup>

ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.<sup>18</sup> მათი ჯანმრთელობის დაცვა, ასევე, გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას მათი სიცოცხლის დაცვისთვის აუცილებელი და ადეკვატური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ.<sup>19</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების „ადეკვატურობა“ რჩება რთულად დასადგენ ელემენტად. ამასთან,

<sup>12</sup> იქვე, პარა. 40.3.

<sup>13</sup> იქვე, პარა. 40.5.

<sup>14</sup> იქვე, პარა 46.1.

<sup>15</sup> იქვე, პარა 46.2.

<sup>16</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013, N10799/06 § 66.

<sup>17</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Bujak v. Poland, 2017, 686/12, § 68.

<sup>18</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Naumenko v. Ukraine, 2004, 42023/98, § 112; Dzieciak v. Poland, 2008, 77766/01, § 91.

<sup>19</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Taïs v. France, 2006, 39922/03, § 98; Huylu v. Turkey, 2006, 52955/99, § 58.

გარკვეული სამედიცინო მომსახურების გაწევა და მკურნალობის დანიშვნა ავტომატურად ვერ მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ სამედიცინო დახმარება იყო ადეკვატური.<sup>20</sup> საკითხის შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს ტესტით, გამოიჩინა თუ არა სახელმწიფომ სათანადო გულისხმიერება, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მძიმე ავადმყოფი პატიმრის განკურნების ვალდებულების შესრულება განისაზღვრება მიღებული ზომით და არა დამდგარი შედეგით.<sup>21</sup> ასევე, სასამართლო მიუთითებს, რომ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები.<sup>22</sup>

სამედიცინო დახმარების ადეკვატურობის განსასაზღვრად სასამართლო გულისხმიერების ტესტს იყენებს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პირის ჯანმრთელობა გაუარესდა, არ არის საკმარისი უფლების დარღვევის დასადასტურებლად. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას გამოიწვევს ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც რელევანტურმა შიდაეროვნულმა უწყებებმა დროულად და ამომწურავად არ გადადგეს ყველა გონივრული შესაძლო ნაბიჯი და არ გამოიყენეს ყველა კეთილსინდისიერი სამედიცინო გზა პაციენტის განსაკურნად.<sup>23</sup>

ამრიგად, მხოლოდ ექიმის მიერ პაციენტის მონახულება და მის მიერ დანიშნულების გამოწერა ვერ შეფასდება ადეკვატურ სამედიცინო დახმარებად.<sup>24</sup> შესაბამისმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ მსჯავრდებულის სრულყოფილი და ამომწურავი სამედიცინო ბარათის წარმოება,<sup>25</sup> დიაგნოზისა და მკურნალობის დროულობა და აკურატულობა,<sup>26</sup> რეგულარული და მრავალმხრივი (სადაც საჭიროა) სამედიცინო ზედამხედველობა, მკურნალობა არა სიმპტომური მეთოდით, არამედ - მსჯავრდებულის მთავარი სამედიცინო პრობლემისა.<sup>27</sup> დამატებით, სახელმწიფო უნდა დაამტკიცოს, რომ დანიშნულება, რომელიც ამგვარი მკურნალობის ფარგლებში იქნა გაცემული, რეალურად სრულდება.<sup>28</sup>

პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო მომსახურებით.<sup>29</sup> მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით. მსჯავრდებულისთვის საჭიროების შემთხვევაში

<sup>20</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Hummatov v. Azerbaijan, 2007, 9852/03, § 116.

<sup>21</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 2011, 47729/08, §71.

<sup>22</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Holomiov v. Moldova, 2006, 30649/05, § 117.

<sup>23</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 2011, 47729/08, § 71.

<sup>24</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Hummatov v. Azerbaijan, 2007, 9852/03, § 116.

<sup>25</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Khudobin v. Russia, 2006, 59696/00, § 83.

<sup>26</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Melnik v. Ukraine, 2006, 72286/01 §§ 104-106.

<sup>27</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Amirov v. Russia, 2014, § 93.

<sup>28</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Holomiov v. Moldova, 2006, 30649/05, § 117.

<sup>29</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხლი 14, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „ა.ბ.“.

ხელმისაწვდომი უნდა იყოს პენიტენციურ დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები.<sup>30</sup> ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად.<sup>31</sup>

ეროვნული კანონმდებლობა ეფუძნება ეკვივალენტურობის პრინციპს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამედიცინო პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს მკურნალობის, მოვლისა და რეაბილიტაციის იმავე სტანდარტს, რომელიც ხელმისაწვდომია სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში. ამასთან პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების აღნიშნული სტანდარტები ამოცანად ისახავს პატიმართა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებას.<sup>32</sup> მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს ქვიმთან შეუზღუდავი კონტაქტის უფლება, რაც გულისხმობს, საჭიროებისამებრ, სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროცესის დაგეგმვას.<sup>33</sup>

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.<sup>34</sup> ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.<sup>35</sup>

## დასკვნა

ამრიგად, პაციენტის ანამნეზიდან და ლაბორატორიული კვლევებიდან გამომდინარე, სასურველია, ყურადღება გამახვილდეს სისხლძარღვოვანი პროცესით და/ან ქრონიკული ვირუსული ინფექციით გამოწვეულ თავის ტკივილზე.

ქრონიკული თავის ტკივილის მიზეზის დასადგენად, რომლის კუპირებაც ვერ მოხერხდა რამდენიმე თვის განმავლობაში, სასურველია, პაციენტს დამატებით ჩაუტარდეს - ინტრა და ექსტრაკრანიული დუპლექს სკანირება და ლაბორატორიული კვლევები თავის ტკივილის სისხლძარღვოვანი კომპონენტის და ქრონიკული ვირუსული ინფექციის გამოსარიცხად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, [REDACTED] ადეკვატური სამედიცინო

<sup>30</sup> იქვე, მუხლი 24, ნაწილი 1.

<sup>31</sup> იქვე, მუხლი 119.

<sup>32</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის N381 ბრძანება „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ზაზისური მედიკამენტების წარმატების შესახებ“, დანართი N1, მუხ. 19, ქვეპუნქტ. „ა“ და „თ“.

<sup>33</sup> იქვე, მუხ. 3, ქვეპუნქტ. „ა“.

<sup>34</sup> „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.

<sup>35</sup> „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 46.

მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნებისთვის, პაციენტს, დამატებით ჩაუტარდეს - ინტრა და ექსტრაკრანიული დუპლექს სკანირება და ლაბორატორიული კვლევები თავის ტკივილის სისხლძარღვოვანი კომპონენტის და ქრონიკული ვირუსული ინფექციის გამოსარიცხად.

რეკომენდაციის განხილვის შედეგების, გატარებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

